

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2022 წლის 15 ნოემბერი

ქ. ბათუმი

„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 დეკემბრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 21/12/2021წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.133.016327) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გამოქვეყნებისთანავე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თენგიზ ირემაძე

დანართი

თავი I

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	18 602 114	23 107 013	22 981 453	125 560	30 520 424	29 636 615	883 809
გადასახადები	12 720 118	14 530 620	14 530 620	0	17 560 000	17 560 000	0
გრანტები	4 229 363	6 389 767	6 264 207	125 560	9 813 326	8 929 517	883 809
სხვა შემოსავლები	1 652 633	2 186 626	2 186 626	0	3 147 098	3 147 098	0
ხარჯები	12 099 080	14 632 007	14 632 007	0	18 770 597	18 770 597	0
შრომის ანაზღაურება	1 992 240	2 043 763	2 043 763	0	2 301 094	2 301 094	0



საქონელი და მომსახურება	1 823 504	1 978 707	1 978 707	0	2 745 452	2 745 452	0
სუბსიდიები	6 827 467	8 098 931	8 098 931	0	9 310 367	9 310 367	0
გრანტები	3 917	0	0	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1 061 745	1 734 324	1 734 324	0	2 511 451	2 511 451	0
სხვა ხარჯები	390 208	776 282	776 282	0	1 902 233	1 902 233	0
საოპერაციო სალდო	6 503 034	8 475 006	8 349 446	125 560	11 749 827	10 866 018	883 809
არაფინანსური აქტივების ცვლილება	7 596 638	8 131 429	8 005 869	125 560	13 356 191	12 472 382	883 809
ზრდა	7 597 726	8 139 387	8 013 827	125 560	13 356 191	12 472 382	883 809
კლება	1 088	7 958	7 958	0	0	0	0
მთლიანი სალდო	-1 093 604	343 577	343 577	0	-1 606 364	-1 606 364	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 093 604	343 577	343 577	0	-1 606 364	-1 606 364	0
ზრდა	0	343 577	343 577	0	0	0	0
ვალუტა და დეპოზიტები	0	343 577	343 577	0	0	0	0
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0	0	0	0	0	0
კლება	1 093 604	0	0	0	1 606 364	1 606 364	0
ვალუტა და დეპოზიტები	1 093 604	0	0	0	1 606 364	1 606 364	0
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0	0	0	0	0
ზრდა	0	0	0	0	0	0	0
კლება	0	0	0	0	0	0	0
საშინაო	0	0	0	0	0	0	0
ბალანსი	0	0	0	0	0	0	0

მუხლი 2. ხელვაჩაურიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი



	ტრანსფერები				ტრანსფერები		
შემოსულობები	18 603 202	23 114 971	22 989 411	125 560	30 520 424	29 636 615	883 809
შემოსავლები	18 602 114	23 107 013	22 981 453	125 560	30 520 424	29 636 615	883 809
არაფინანსური აქტივების კლება	1 088	7 958	7 958	0	0	0	0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0			0		
ვალდებულებების ზრდა	0	0			0		
გადასახდელები	19 696 806	22 771 394	22 645 834	125 560	32 126 788	31 242 979	883 809
ხარჯები	12 099 080	14 632 007	14 632 007	0	18 770 597	18 770 597	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	7 597 726	8 139 387	8 013 827	125 560	13 356 191	12 472 382	883 809
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0	0	0
ნაშთის ცვლილება	-1 093 604	343 577	343 577	0	-1 606 364	-1 606 364	0

თავი II

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

მუხლი 3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 30 520 424 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	18 602 114	23 107 013	22 981 453	125 560	30 520 424	29 636 615	883 809
გადასახადები	12 720 118	14 530 620	14 530 620	0	17 560 000	17 560 000	0
გრანტები	4 229 363	6 389 767	6 264 207	125 560	9 813 326	8 929 517	883 809
სხვა შემოსავლები	1 652 633	2 186 626	2 186 626	0	3 147 098	3 147 098	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ხელვაჩაური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 17 560 000 ლარის ოდენობით

2020 წლის	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
-----------	-----------------	-----------------



დასახელება	ფაქტი		მათ შორის		მათ შორის		
	სულ	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	12 720 118	14 530 620	14 530 620	0	17 560 000	17 560 000	0
დამატებული ღირებულების გადასახადი	7 125 187	9 617 127	9 617 127		12 570 000	12 570 000	
ქონების გადასახადი	5 594 931	4 913 493	4 913 493	0	4 990 000	4 990 000	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 736 009	4 044 538	4 044 538		4 223 000	4 223 000	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	82 575	73 416	73 416		50 000	50 000	
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	59 182	76 669	76 669		42 000	42 000	
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	717 165	718 870	718 870		675 000	675 000	

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9 813 326 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
გრანტები	4,229,363	6 389,767	9 813 326
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0	0	229 959
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	2,854,363	6 726,4207	8 699 558
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	1,788,095	5,054.794	8 179 558
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი (სოფლისმხარდაჭერის პროგრამა)	788 579	906164	0
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	145 215	303 249	520 000
მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული არ ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტის ფონდიდან (მგპფ)	132 474	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1,375 0000	0	0
სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გრანტები	1 375 000	0	0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0	0	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	0	125 560	883 809



სოფლისმხარდაჭერის პროგრამა	0	0	0
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი			
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილისახსრები			
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი მგფ	0	125 560	883 809

მუხლი 6. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 3 147 098 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	1 652 633	2 186 626	2 186 626	0	3 147 098	3 147 098	0
შემოსავლები საკუთრებიდან	330 596	317 556	317 556	0	320 953	320 953	0
პროცენტები	171 516	157 638	157 638	0	191 268	191 268	0
დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	171 516	157 638	157 638		191 268	191 268	
რენტა	159 080	159 918	159 918	0	129 685	129 685	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	60 736	72 311	72 311		40 600	40 600	
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	98 344	87 607	87 607		89 085	89 085	
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	959 370	1 244 743	1 244 743	0	1 913 573	1 913 573	0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	902 884	1 211 065	1 211 065	0	1 773 573	1 773 573	0
სანებართვო მოსაკრებელი	110 215	26 684	26 684	0	37 175	37 175	0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	110 215	26 684	26 684		37 175	37 175	
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0	200	200	0	1 400	1 400	0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	757 200	1 143 662	1 143 662		1 695 983	1 695 983	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	35 458	40 506	40 506		39 000	39 000	



საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	11	13	13		15	15	
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	56 486	33 678	33 678	0	140 000	140 000	0
შემოსავლები მომსახურების გაწვიდან	56 486	33 678	33 678		140 000	140 000	
ჯარიმები, სანქციები და საურავები	123 025	483 355	483 355		740 725	740 725	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	239 642	140 972	140 972		171 847	171 847	

თავი III

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 18 770 597 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	12 095 164	14 632 007	14 632 007	0	18 770 597	18 770 597	0
შრომის ანაზღაურება	1 992 240	2 043 763	2 043 763	0	2 301 094	2 301 094	0
საქონელი და მომსახურება	1 823 504	1 978 707	1 978 707	0	2 745 452	2 745 452	0
სუბსიდიები	6 827 467	8 098 931	8 098 931	0	9 310 367	9 310 367	0
სოციალური უზრუნველყოფა	1 061 745	1 734 324	1 734 324	0	2 511 451	2 511 451	0
სხვა ხარჯები	390 208	776 282	776 282	0	1 902 233	1 902 233	0

მუხლი 8. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 13 356 191 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 13 356 191 ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის



			საკუთარი შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	42 498	11 870	11 870	0	499 466	499 466	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 303 542	2 880 512	2 801 687	78 825	6 796 617	6 000 972	795 645
დასუფთავება და გარემოს დაცვა	6 472	50 400	50 400		100 000	100 000	
განათლება	638 847	1 444 380	1 444 380	0	1 102 968	1 102 968	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	5 289	245 548	198 813	46 735	168 136	79 972	88 164
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	601 078	3 506 677	3 506 677	0	4 689 004	4 689 004	0
სულ ჯამი	7 597 726	8 139 387	8 013 827	125 560	13 356 191	12 472 382	883 809

ბ) განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2020 წლის ფაქტი		2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	1,088	7,958	7,958	0	0	0	0
ძირითადი აქტივები	0	11,811	11,811		0		
არაწარმოებული აქტივები	1,088	-3,853	-3,853	0	0	0	0
მიწა	1,088	-3,853	-3,853	0	0		0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 32 168 788 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:



ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი			2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
7,1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 877 866	2 877 866	0	3 076 734	3 076 734	0	4 978 634	4 978 634	0
7,11	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 877 721	2 877 721	0	3 076 734	3 076 734	0	4 978 634	4 978 634	0
7,111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 877 721	2 877 721	0	3 076 734	3 076 734	0	4 587 087	4 587 087	0
7,112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	0	0	0	0	391 547	391 547	0
7,16	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	145	145	0	0	0	0	0	0	0
7,2	თავდაცვა	76 785	76 785	0	72 670	72 670	0	66 890	66 890	0
7,21	სამოქალაქო თავდაცვა	76 785	76 785	0	72 670	72 670	0	66 890	66 890	0
7,4	ეკონომიკური საქმიანობა	2 243 170	2 243 170	0	981 555	981 555	0	2 912 441	2 912 441	0
7,42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	75 433	75 433	0	329 550	329 550	0	830 000	830 000	0
7,421	სოფლის მეურნეობა	75 433	75 433	0	329 550	329 550	0	830 000	830 000	0
7,45	ტრანსპორტი	2 167 737	2 167 737	0	652 005	652 005	0	2 082 441	2 082 441	0
7,451	საავტომობილო ტრანსპორტი	2 167 737	2 167 737	0	652 005	652 005	0	2 082 441	2 082 441	0
7,5	გარემოს დაცვა	1 370 972	1 370 972	0	1 688 157	1 688 157	0	1 714 671	1 714 671	0
7,51	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	427 678	427 678	0	441 212	441 212	0	491 011	491 011	0
7,56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	943 294	943 294	0	1 246 945	1 246 945	0	1 223 660	1 223 660	0
7,6	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	5 986 784	5 986 784	0	4 223 905	4 145 080	78 825	7 043 614	6 247 969	795 645



7,62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 643 912	1 643 912	0	257 408	178 583	78 825	1 475 293	679 648	795 645
7,63	წყალმომარაგება	2 343 921	2 343 921	0	2 010 067	2 010 067	0	3 191 674	3 191 674	0
7,64	გარე განათება	371 241	371 241	0	415 932	415 932	0	833 890	833 890	0
7,66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 627 710	1 627 710	0	1 540 499	1 540 499	0	1 542 757	1 542 757	0
7,7	ჯანმრთელობის დაცვა	791 647	791 647	0	675 051	675 051	0	1 350 138	1 350 138	0
7,76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	791 647	791 647	0	675 051	675 051	0	1 350 138	1 350 138	0
7,8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 008 429	1 008 429	0	1 313 469	1 266 734	46 735	1 705 756	1 617 592	88 164
7,81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	139 171	139 171	0	381 862	335 127	46 735	389 541	301 377	88 164
7,82	მომსახურება კულტურის სფეროში	858 668	858 668	0	913 787	913 787	0	1 295 215	1 295 215	0
7,86	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	10 590	10 590	0	17 820	17 820	0	21 000	21 000	0
7,9	განათლება	4 100 620	4 100 620	0	5 933 928	5 933 928	0	6 420 126	6 420 126	0
7,91	სკოლამდელი აღზრდა	3 227 469	3 227 469	0	4 170 232	4 170 232	0	4 886 032	4 886 032	0
7,92	ზოგადი განათლება	167 838	167 838		0	0		117 302	117 302	
7,98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	705 313	705 313	0	1 763 696	1 763 696	0	1 416 792	1 416 792	0
7 10	სოციალური დაცვა	1 240 533	1 240 533	0	4 805 925	4 805 925	0	5 934 518	5 934 518	0
7 107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	110 560	110 560	0	116 631	116 631	0	121 908	121 908	0
7 109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 129 973	1 129 973	0	4 689 294	4 689 294	0	5 812 610	5 812 610	0
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		19 696 806	19 696 806	0	22 771 394	22 645 834	125 560	32 126 788	31 242 979	883 809



თავი IV

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანისა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილება

მუხლი 10. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო,

განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 606 364 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -1 606 364 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება -1 606 364 ლარის ოდენობით.

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ფინანსური აქტივების ცვლილება	-1 093 604	343 577	343 577	0	-1 606 364	-1 606 364	0
ზრდა	0	343 577	343 577	0	0	0	0
ვალუტა, დეპოზიტები	0	343 577	343 577		0		
აქციები და სხვა კაპიტალი	0	0			0	0	
კლება	1 093 604	0	0	0	1 606 364	1 606 364	0
ვალუტა, დეპოზიტები	1 093 604	0			1 606 364	1 606 364	
დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0	0	0	0	0



ზრდა	0	0		0		
კლება	0	0	0	0		0

მუხლი 12. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება-0 ლარის ოდენობით.

კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
33	ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
ზრდა				
სესხები				
კლება		0	0	0
სესხები				

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 386 647 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

თავი V

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება; (01 00)
- ინფრასტრუქტურა; (02 00)
- დასუფთავება და გარემოს დაცვა; (03 00)
- განათლება; (04 00)
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; (05 00)
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; (06 00)

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს რომლებიც ადმინისტრაციულ იხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავრი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები.

1. მმართველობითი გუნდის მუშაობის შეფასების შიდა და გარე სისტემების შექმნა;



2. მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის სისტემების შექმნა;

3. საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება;

4. ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესება; 5. მიმდინარე პროცესების მართვა და სხვა.

1.1 პროგრამის/ქვეპროგრამის დასახელება

საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესების პროგრამა

მიზანი

მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანა.

აღწერა

საბიუჯეტოს პროცესში დაბალია მოსახლეობის ჩართულობის და პროცესების გამჭვირვალობის დონე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის განხორციელდება თანამშრომლების გადამზადება, მოსახლეობაში გამოკითხვების ჩატარება და აქტივების შესახებ სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის შეფასება, მოსახლეობის ჩართულობისა და გამჭვირვალე პროცესების წარმართვისათვის შეიქმნება და დაინერგება მდგრადი სისტემა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
I	01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5 040 624
1	01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 653 977
-	01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	868 443
-	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3 718 644
-	01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	66 890
2	01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	386 647
-	01 02 01	სარეზერვო ფონდი	386 647
-	01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
II	02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	9 960 955
	02 01 00	ა(ა)იმ მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	302 100
1	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და	2 082 441



		მოვლა შენახვა	
1.1	02 01 01	ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია მათ შორის:	1 338 931
		სოფელ ჭარნალში სასაფლაოებიდან ზებურ მახარაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	80002
		სოფელ ჭარნალში ფერმებიდან ამირან კეკელიძის საცხოვრებელ სახლამდე და კოკის წყლიდან ავთანდილ დუმბაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია	73856
		სოფელ ახალსოფელში ჯუმბერ შარაძის საცხოვრებელი სახლიდან ბადრი დევადის საცხოვრებელ სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;	30765
		სოფელ მახინჯაურში დუმბაძეებისა და ხონელიძეების დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია	88213
		სოფელ ორთაბათუმის აგარაში ჩხაიძეების დასახლებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	36589
		სოფელ ორთაბათუმის აგარაში დურსუნ ფადავას სახლიდან ზურაბ ირემაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	88923
		სოფელ ზედა სამებაში ალიოშა დიასამიძის სახლის მიმართულებით შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	70316
		სოფელ თხილნარის მეურნეობაში თენგიზ ქადაგიძის სახლის მიმართულებით შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	47973
		სოფელ თხილნარის მეურნეობაში რევაზ ბერიძისა და ასლან ბერიძის საცხოვრებელი სახლის მიმართულებით შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	34622
		სოფელ ჭარნალში სასაფლაოებიდან მალხაზ ცეცხლაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	41289
	020101	სოფელ ჭარნალში მურად ბერიძის სახლიდან გია დავითაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	51185
		სოფელ განახლებაში ბადრი ბერიძის სახლიდან სურმანიძეების მიმართულებით შიდა სასოფლო გზის მოწყობა-რეაბილიტაცია	42082
		სოფელ წინსვლაში ორთაბათუმის მიმართულებით შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	96634
		სოფელ ფერიაში გიორგი ბასნიკიფას სახლიდან მერაბ მახაჭაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	61595
		სოფელ ფერიაში მამუკა დევადის სახლიდან ჯამბულ ბერიძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	10220
		სოფელ სამებაში კოჩაძე-სვანიძეებიდან დიასამიძეების მიმართულებით შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	98009
		სოფელ განახლებაში ზოიძეების, შარაძეების, სურმანიძეებისა და დუმბაძეების დასახლებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	124018
		სოფელ ჭარნალში ჯიმშერ ბოლქვაძის სახლიდან გენადი ჭელიძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	76275
		სოფელ ორთაბათუმში (აგარა) ცეცხლაძეების თურმანიძეებისა და ბერიძეების დასახლებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	103859
		სოფელ ახალსოფელში (ავგია) ცენტრალური გზიდან რაულ დავითაძის საცხოვრებელი სახლის მიმართულებით შიდა	24703



		სასოფლო გზის რეაბილიტაცია	
		სოფელ ფერიში ჯემალ მახაჭაძის სახლიდან ნარგიზ მგელაძის სახლამდე შიდა სასოფლო გზის მოწყობა-რეაბილიტაცია	49117
		შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია	8686
	02 01 45	სოფელ სამებაში (ჩელტა) ნაკაშიძეებისა და წილოსნების დასახლებაში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია	97418
	02 01 46	სოფელ სამებაში ცენტრალური გზიდან აფხაზავეების მიმართულებით შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	48279
1.2	02 01 49	მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაზიანებული ხიდების მოწყობა მათ შორის:	597 813
		სოფელ ახალშენში (ხელრუ)ჯემალ ცეცხლაძის სახლის მიმართულებით სამანქანე ხიდის მოწყობა	47700
		სოფელ ახალშენში რომანი შამილაძის სახლის მიმართულებით სამანქანე ხიდის მოწყობა	177625
		სოფელ მარადიდში მახლავეთი) ქვედა ქუთურეთის მიმართულებით სამანქანე ხიდის მოწყობა	372488
2	02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	4 025 564
2.1	02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	3 191 674
2.2	02 02 01 02	შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალკანალი“	151 412
2.3	02 02 01 03	შ.პ.ს. „ხელვაჩაურის წყალი“	828 617
2.4	02 02 01 25	სოფელ ომბოლოში სასმელი წყლის ჭაბურღილის რეზერვუარისა და მაგისტრალის მოწყობა	133 225
2.5	02 02 01 26	ახალსოფელში სასმელი წყლის რეაბილიტაცია (დაქსელვის მოწყობა)	2 078 420
2.14	02 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	833 890
2.15	02 02 02 01	გარე-განათების ქსელის მოვლა ექსპლოატაცია	550 000
2.15.1	02 02 02 11	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში გარე განათების მოწყობა მათ შორის:	283 890
		ახალშენში ხარაძეების უბანში გარე-განათების მოწყობა	35 993
		სოფელ ორთბათუმის ცენტრიდან ნოდარ დავითაძის სახლამდე გარე განათების მოწყობა	169 809
		სოფელ კაპანდიბში ოთარ აფაქიძის სახლიდან დურსუნ აფაქიძის სახლამდე გარე განათების მოწყობა	28390
		სოფელ კაპანდიბში ზაზა აფაქიძის სახლიდან ბესიკ აბაშიძის სახლამდე გარე განათების მოწყობა	49698
3	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 475 293
3.1	02 03 01	საცხოვრებელი სახლის სახურავების შეკეთება გადახურვა (ამხანაგობის მხარდამჭერი პროგრამა)	37 029
3.1.2.	02 03 02	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არსებული ეკომიგრანტი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისა	72 298



		და სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა Design Build (DB) კონცეფციით	
3.1.2.	02 03 12	ორთაბათუმის ცენტრის კეთილმოწყობა	315 955
3.1.1.	02 03 13	ახალშენის ცენტრის კეთილმოწყობა	173 989
3.3	02 03 03	პარკების, სვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	876 022
3.3.1.	02 03 11	სოფლის ცენტრებში (სვერებისა და ატრაქციონების მოწყობა)	876 022
4	02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	705 587
4.1.	02 04 01	აუდიტის მომსახურების ხარჯები	4 900
4.2.	02 04 02	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხვითი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომებითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	15 970
4.3.	02 04 03	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	684 717
5	02 05	აიპ ხელვაჩაურის სასაფლაოები	539 970
6	02 06	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	830 000
6.1.	02 06 01	შემის ჩანაცვლება ბრიკეტით და თხილის ნაჭუჭით ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვა	330 000
6.1.	02 06 03	„2022 წლის პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველ იმ ბენეფიციართა სიტბოთი უზრუნველყოფისთვის ერთჯერადი ფინანსური ხელშეწყობა, რომლებსაც არ გააჩნიათ სათბობი საშუალება ან/და ვერ იყენებენ სათბობათ ბუნებრივ აირს/გაზს და სხვა“-ს	500 000

2. ინფრასტრუქტურა(პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას რაც წინა პირობაა ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებას.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვის პროგრამა

პროგრამის მიზანი: საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტი გეგმავს მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში გზების მთლიანი მოცულობის 40 პროცენტის მშენებლობა რეაბილიტაციას. ასევე ყურადღება ექცევა რეაბილიტირებული გზების მოვლას, რაც გულისხმობს ორმულ შეკეთებებს. განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.



2.2. წყალმომარაგების უზრუნველყოფის განვითარება

პროგრამის მიზანი: წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების ხელშეწყობა, მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შპს ხელვაჩაურის წყალი რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. სულ მუნიციპალიტეტში 76-აუზია 3900კმ მაგისტრალის ოდენობით რასაც საჭიროების შემთხვევაში უტარდება მიმდინარე რემონტი.

2.3 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის პროგრამა/ქვეპროგრამა

პროგრამის მიზანი: გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება.

პროგრამის აღწერა: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია - დახარჯული ელექტროენერჯის ღირებულების ანაზღაურება და მოვლა პატრონობის ხარჯები. დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის- 4504 წერტის ექსპლოატაცია.

2.4 მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის არსებული შენობების მდგრადობა და დანიშნულებისამებრ ექსპლოატაცია.

პროგრამის აღწერა: განხორციელდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (მათ შორის თემის წარმომადგენლების შენობები, და სხვა.) ასევე იგეგმება მოსახლეობის ჩართულობის დახმარებით თემში ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია.

2.5 კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის არსებული სივრცეების მოწესრიგება რეაბილიტაცია, რათა მოსახლეობას მიეცეს სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი სივრცეების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია, საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა.

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვა			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
III	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 714 671
1	03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 714 671
1.1	03 01 01	ააიპ „ხელვაჩაურის გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“	1 223 660
1.2	03 01 02	სანიტარული დასუფთავება	491 011



მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების პროგრამა თანხვედრაშია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების 2022-2025 წლის დოკუმენტში მოცემულ სტრატეგიასთან. ჩვენი მიზანია ყველა გადაწყვეტილების, მათ შორის, ეკონომიკურად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად, ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლაპატრონობა, გარემოს დასუფთავება, სუფთა ტრანსპორტი, ნარჩენების სეპარირებულად შეგროვებას, უნარჩენო წარმოების ხელშეწყობა დასხვა.

აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში მომსახურეობას ახორციელებს შპს სანდასუფთავება. ხოლო აღსრულების კუთხით ჩართულია ააიპ „გამწვანების დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“.

3.1 დასუფთავება და ნარჩენების გატანა

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების გარეცხვა, ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება; დამატებითი ურნების შესყიდვა.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლება			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
IV	04 00	განათლება	5 919 121
1	04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	4 886 032
1.1.	04 01 01	ააიპ ხელვაჩაურის ბაღების გაერთიანება	4 886 032
2	04 01 02	საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	862 287
2.1.	04 01 02 01	ახალშენის საბავშვო ბაღის მშენებლობა	562 287
2.2.	04 01 02 02	სოფელ ახალსოფელში საბავშვო ბაღის შენობის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები	150 000
	04 01 02 03	ხელვაჩაურის N1 საბავშვო ბაღის შენობისა და ეზოს სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები	150 000
3	04 02	სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები	170 802
3.1	04 02 01	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა და სტუდენტთა ხელშეწყობის პროგრამა	53 500
3.2	04 02 02	სკოლების მშენებლობა რემონტი	117 302
3,2.1	04 02 02 01	სოფელ თხილნარის აგარაში დაწყებითი სკოლის რეაბილიტაცია	117 302



განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შეიქმნილი სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების ინსტრუმენტები გამოყენებული იქნება მუნიციპალიტეტში განვითარების მიმდინარეობის შესაფასებლად. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

4.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა

პროგრამის აღწერა: პროგრამამ უნდა უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირება, რომელიც გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის

განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/ მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება, ბაგა-ბაღების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალური გამტარუნარიანობა (სკოლამდელი აღზრდის მომსახურების მიღების მსურველთა არსებული მოთხოვნის რაოდენობის მაქსიმალურად დაკმაყოფილებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის: ახალი ბაგა-ბაღების მშენებლობა, არსებულ ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო ჯგუფების მოწყობა, ბავშვების სხვადასხვა სოფლებიდან ტრანსპორტირება.

1. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ კულტურა და სპორტი უფრო მეტად ინტეგრირდეს მოსახლეობაში. მუნიციპალიტეტის მიზანია გაიზარდოს ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განავითაროს ახალგაზრდების მხრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში თვითრეალიზების შესაძლებლობები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად რეალიზებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც კულტურის სამსახურის მიერ ასევე კულტურის სფეროში შექმნილი ააიპ-ების მიერ.

5.1 სპორტის სფეროს განვითარება



პროგრამის მიზანი: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება - პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას - პოპულარიზაციას, საქართველოს ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების აღდგენა, მშენებლობა. მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსების მშენებლობას.

პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ორიენტირებულია: სპორტის განვითარებაზე, საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობაზე, საქართველოს ჩემპიონატებისა და პირველობების ჩატარებაზე, სპორტული რეზერვისა და მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადებაზე, ეს ყოველივე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებასა და პოპულარიზაციას, ადგილობრივი ან საერთაშორისო მაღალი რანგის შეჯიბრებებზე ნაკრები გუნდების წევრთა მიერ საპრიზო ადგილების დაკავებას. სპორტის სხვადასხვა სახეობებში პირველობების, ჩემპიონატების, თასების გათამაშებების, მასობრივი სპორტული ღონისძიებების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების, სასწავლო-საწვრთნო შეკრებების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; ქართული საბრძოლო ხელოვნების ხელშეწყობა; მასობრივი სპორტის პოპულარიზაციაზე და ქალთა სპორტის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების ხელშეწყობა. მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის მუნიციპალიტეტის სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალური წახალისება, სპორტსკოლის საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა. სპორტის სხვადასხვა სახეობის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტის მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახეობებში სპორტული კლუბების ხელშეწყობა და განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზებზე და სხვა.

5.2 კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი			
N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
V	05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2 206 761
1	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	890 546
1.2.	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	95 450
1.3.	05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა	134 180
1.3.1.	05 01 03 01	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	134 180
1.4.	05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	159 911
1.4.2.	05 01 04 03	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში მინი მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია მათ შორის:	159 911



1.4.3.	05 01 04 03	სოფელ თხილნარის ცენტრში არსებული მინი მოედნის რეაბილიტაცია	71747
1.4.4.	05 01 04 03	სოფელ მახოში (დავითაძეები) მინი სპორტული მოედნის მოწყობა	88164
2	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1 295 215
2.3.	05 02 01	ა.ა.ი.პ ხელვაჩაურის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	1 115 655
2.4.	05 02 02	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	179 560
3	05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	21 000
3.1.	05 03 01	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	21 000

პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული ღონის ამალგა

პროგრამის აღწერა: პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური

შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას, როგორცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობა, კულტურის სტრატეგიის დოკუმენტის მომზადება და სხვა.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული იქნება კულტურის სფეროს დაწესებულებები, როგორცაა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კულტურის სახლი, სამუსიკო სკოლები, ხელოვნების სკოლები და სხვა.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სხვადასხვა პროგრამები.

მოსახლეობის სოციალური დაცვის მიმართულებით გაგრძელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება რომელიც გაზრდის სოციალურად დაუცველ ფენის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა ჯანდაცვისა და მომსახურების სერვისებზე.

6.1. ჯანმრთელობის დაცვა პროგრამული კოდი (06 00)

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
VI	06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7 284 656
1	06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1 350 138
1.1.	06 01 02	პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობის პროგრამა	24 860
		დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფის	



1.2.	06 01 03	პროგრამა	32 620
1.3.	06 01 04	სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა	179 200
1.4.	06 01 05	პარკინსონით დაავადებულთა პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	13 384
1.5.	06 01 06	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მიმე ფსიკიკური აშლილობის მქონე პირებისათვის პროგრამა	88 800
1.6.	06 01 07	ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობის პროგრამა	61 600
1.7.	06 01 08	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება	5 000
1.8.	06 01 10	0-დან-200000-მდე ქულის მქონე მოვლის საჭიროების პირთა მატერიალური მხარდაჭერა	76 680
1.9.	06 01 11	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	520 000
1.10.	06 01 12	სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება	309 000
1.11.	06 01 13	თემების სამედიცინო ცენტრებისა და ამბულატორიების კეთილმოწყობა და ინვენტარის შექმნა	38994
1.11.1	06 01 13 04	მუნიციპალიტეტის სოფლებში ამბულატორიებისა და მედპუნქტის მშენებლობა რეაბილიტაცია	38 994
2	06 02	სოციალური უზრუნველყოფა	5 934 518
2.1.	06 02 01	უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა	121 908
2.2.	06 02 02	ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	3 600
2.3.	06 02 03	მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შემენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება	117 000
2.4.	06 02 04	მრავალშვილიანი და დედამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება	25 000
2.5.	06 02 05	0-დან 100 000 მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრების გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება	35 000
2.6.	06 02 06	0-დან 200 000 ქულის მქონე ოჯახებს პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება	12 000
2.7.	06 02 07	გაზიფიცირების პროგრამა 0-დან 100 000-ქულის მქონე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის	16 000
2.8.	06 02 08	მარტოხელა მშობლების (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ერთჯერადი მატერიალური დახმარება	36 000
2.9.	06 02 09	სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამა	4 650 010
2.9.	06 02 10	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე და ავარიულ/ამორტიზირებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა)	918 000



პროგრამის მიზანი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული ფუნქციების განხორციელების გზით;

პროგრამის აღწერა: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. გაგრძელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორცაა: ეპილეპსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა, დიალეზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა, სოფლისმოსახლეობის ექიმამდელისამედიცინოდახმარების პროგრამა, პარკინსონით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფა, ბრონქული ასთმით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკურიაშლილობის მქონე პირებისათვის პროგრამა „ბავშვთა აბილიტაცია რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების ხელშეწყობა, ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა, მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა.

6.2. სოციალური დაცვა

